



## Perform Europe იწვევს საშემსრულებლო ხელოვნების დასებს, ხელოვანებს, კოლექტივებს, სახელოვნებო სივრცეებსა და ფესტივალებს

*Perform Europe-ის კონკურსის სრული მეგზურები და განაცხადის შეგანის კრიტერიუმები შეგიძლიათ იხილოთ ინგლისურ ენაზე [ამ გვერდზე](#).*

Perform Europe ევროკომისიის მიერ დაფინანსებული საცდელი სქემაა. მისი მიზანია, მხარი დაუჭიროს ექსპერიმენტებს და საშემსრულებლო ხელოვნების ნამუშევრების გასვრლებების „შემოქმედებითი ევროპის“ პროგრამაში ჩართულ ქვეყნებში, რათა გახადოს უფრო მდგრადი და ინკლუზიური. უფრო მეტი წაიკითხეთ [აქ](#).

ამჟამად ვებზადებით დავიწყით Perform Europe-ის გრანტების გაცემის ტესტირების პროგრამა. ეს განხორციელდება ორ ეტაპად:

1) პირველი ეტაპის დროს, პროდიუსერებს (ხელოვანები, ჯგუფები, დასები და წარმდგენები, რომლებსაც შექმნილი აქვთ მხატვრული ნაწარმოები) და წარმდგენებს (ფესტივალები, სახელოვნებო სივრცეები და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც გეთავაზობენ წარმოდგენის კონტექსტს) შეაქვთ განაცხადი და გამოთქვამენ სურვილს, გახდნენ Perform Europe-ის კოლექტიური სწავლის და კავშირების დამყარების პროცესის ნაწილი, რაც მხარდაჭერილი იქნება მისი ციფრული პლატფორმით. კონკურსი დეტალურად მოცემულია ქვემოთ და განაცხადების მიღება დაიწყება 15 ივნისს. პირველ ეტაპზე შერჩეული განმცხადებლები მიწვეულნი იქნებიან კონკურსის მეორე ეტაპზე.

2) მეორე ეტაპის დროს განმცხადებლები სწავლისა და კავშირების დამყარების პროცესში მონაწილეობისას დაამყარებენ თანამშრომლობას ერთმანეთთან, ერთობლივად შექმნიან გასვრლებებისა და გავრცელების შეთავაზებებს და განაცხადებს შეიგანენ Perform Europe-ის გრანტებზე. მთლიანი ხელმისაწვდომი ბიუჯეტი 1,5 მილიონი ევროა; გრანტის მოცულობები 10 000-დან 100 000

Perform Europe is co-initiated by a Consortium of 5 organisations and funded by the Creative Europe programme of the European Union



ევრომდეა. მეორე მოწვევა გამოქვეყნდება ივლისის ბოლოს, მხოლოდ პირველ ეტაპზე შერჩეულთათვის (Perform Europe-ზე განაცხადის შეგანის პროცესის უფრო დეტალური დროის გრაფიკი იხილეთ [Perform Europe-ის ვებგვერდზე](#))

პირველი ეტაპის განაცხადების შეგანა შესაძლებელი იქნება 15 ივნისიდან 7 ივლისის ჩათვლით Perform Europe-ის ციფრულ პლატფორმაზე. რადგან პირველი კონკურსი მხოლოდ სამი კვირის განმავლობაში იქნება გახსნილი, შეგიძლიათ, დღესვე დაიწყოთ მზადება. მანამდე ქვემოთ მოცემული ინფორმაციით უკეთ გაეცანით საკითხს.

### ვის ვებებთ პირველ ეტაპზე?

ორგანიზაციებსა და თავისუფალ პროფესიონ ხელოვანებს, რომლებიც:

- - მუშაობენ საშემსრულებლო ხელოვნებაში: თეატრი, ცეკვა, პერფორმანსები (სამოყვარულო წარმოდგენის ჩათვლით), ცირკი და ქუჩის ხელოვნება. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ Perform Europe-ის კონკურსი არ ვრცელდება ცოცხალი მუსიკის წარმოდგენებზე (მათ შორის, ოპერასა ან მიუზიკლზე), გამონაკლისია მუსიკალური წარმოდგენა.
- პროდიუსერებს: აქვთ ხელოვნების ნაწარმოები ან სახელოვნებო ინიციატივები, რომელთა გაგანა სურთ სხვა ქვეყნებში – ფიზიკურად, ციფრულად ან შერეული სახით, 2021 წლის ოქტომბრიდან 2022 წლის ივნისის ბოლომდე;
- წარმდგენებისთვის: აქვთ ფესტივალი ან სივრცე, ან სხვა გარემო, რომელიც წარმოადგენს მხატვრულ ნამუშევარს სხვა ქვეყნიდან 2021 წლის ოქტომბრიდან 2022 წლის ივნისის ბოლომდე;
- დაარსებულია „შემოქმედებითი ევროპის“ მონაწილე რომელიმე ქვეყანაში \* (იხილეთ სრული სია [ამ გვერდზე](#)) ან გაერთიანებულ სამეფოში;
- აქვთ ხედავ, როგორ ითანამშრომლონ საზღვრებს გარეთ რესურსების განაწილების მეშვეობით, კეთილსინდისიერება და სოლიდარობის პრინციპებზე დაყრდნობით;
- უკვე იყენებენ გასტროლებისა და გაერცელების ალტერნატიულ და ინოვაციურ პრაქტიკებს და შეუძლიათ ამის დემონსტრირება, და ასევე ისინი, ვინც

- მონდომებული არიან, შეიგანონ ინოვაცია თავიანთ პრაქტიკებში და აქვთ ხელვა, თუ როგორ გააკეთონ ეს, თუმცა შესაძლოა აწყდებოდნენ მრავალ შემზღვეულ ფაქტორს.

ამ კონკურსებზე განაცხადის შემოგანამე განსაკუთრებით ვიწვევთ იმ წარმდგენებსა და პროდიუსერებს, რომლებიც ნაკლებად ჩანან საერთაშორისო სახელოვნებო სარბიელზე. ჩვენ მივესალმებით განაცხადებს ქალებისგან, სოფლად მომუშავე ხელოვანებისგან და ორგანიზაციებისგან, მათგან, ვისაც აქვთ არახელსაყრელი სოციალურ-ეკონომიკური ან ეთნიკური პირობები, ვინც იდენტიფიცირდება, როგორც LGBTQIA +, არიან შემზღვეული შესაძლებლობების მქონე, და ნებისმიერი სხვა ადამიანებისგან, ვინც საშემსრულებლო ხელოვნების სარბიელზე ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფის ნაწილად მოიაზრება.

### რა უნდა მოგვაწოდოთ ამ პირველ ეტაპზე, რომელიც 15 ივნისს დაიწყება?

- ზოგადი ინფორმაცია თქვენი ორგანიზაციის შესახებ;
- ზოგადი ინფორმაცია თქვენი იმ მხატვრული ნაწარმოებ(ებ)ის (პროდიუსერებისთვის) ან თქვენი წარმოდგენის კონტექსტ(ებ)ის – ფესტივალის, სივრცის, ღია ცის ქვეშა სივრცის – (წარმდგენებისთვის), შესახებ, რაც გსურთ რომ იყოს თანამშრომლობის შეთავაზებების ნაწილი;
- თქვენი ხელვა და იდეები, თუ როგორ შეიძლება მხატვრული ნაწარმოების მდგრადი და ინკლუზიური გზით მიეწოდოს ხალხს და ადგილებს (400 სიკვება);
- რამდენად შეესაბამება ამ ხელვას თქვენი მხატვრული ნაწარმოები / წარმდგენის გარემო, რომელიც თქვენი განაცხადის ნაწილია (250 სიკვება);
- რა გსურთ მიიღოთ იქიდან, რომ გახდებით Perform Europe-ის მიერ დაფინანსებული თანამშრომლობ(ებ)ის მონაწილე (250 სიკვება) და რის გაზიარებას ისურვებდით (უნარები, ცოდნა, ფული, ხილვალობა, ინფრასტრუქტურა, გამოცდილება და ა.შ.) (300 სიკვება)

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მთელი ეს ინფორმაცია საჭირო იქნება მოგვაწოდოთ ინგლისურად.

**როგორ შეგიძლიათ განაცხადის შეტანა?** კონკურსი გაიხსნება **2021 წლის 15 ივნისს** - გთხოვთ, გამოიწეროთ ჩვენი საინფორმაციო ბიულეტენი, რათა მოგივიდეთ შეტყობინება. ამასობაში უკვე შეგიძლიათ, მოემზადოთ: დაფიქრდეთ ზემოთ მოწოდებულ პუნქტებზე და მეტიც მოამზადოთ განაცხადის შეტანა მეორე ეტაპის მოთხოვნებით.

**პირველი ეტაპის, მეორე ეტაპისა და Perform Europe-ის ვადების შესახებ დამატებით ინფორმაციას ნახავთ [Perform Europe-ის ვებგვერდზე](#) ინგლისურ ენაზე.**

Perform Europe is co-initiated by a Consortium of 5 organisations and funded by the Creative Europe programme of the European Union

**Perform  
Europe**

